

შპს „ამბიენს“

2022 წლის ფინანსური ანგარიშგება

შპს "ამბიენს"				
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება				
ერთეული: 1 GEL				
	საანგარიშგებო თარიღი			
	31.12.2022	31.12.2021	31.12.2020	შენიშვნა
აქტივები				
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	16048651	11698299	7139618	3.1
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	2344925	1040713	4120623	
სხვა პირებზე ავანსებად და სესხებად გაცემული ფულადი სახსრები	39283	94390	80	
მ.შ. - გრძელვადიანი სესხები				
მარაგები	2788523	5402074	6608973	3.2
მ.შ. - მზა პროდუქცია				
- სხვა	2788523	5402074	6608973	
საინვესტიციო ქონება				
სხვა მოკლევადიანი აქტივები	10680	12958	24636	
ბიოლოგიური აქტივები				
მ.შ. - თვითღირებულების მოდელით				
- გადაფასების მოდელით				
გუდვილი				
სხვა არამატერიალური აქტივები	61	188	755	
ძირითადი საშუალებები	135664	161807	183060	3.3
ინვესტიციები შვილობილ კომპანიებში				
ინვესტიციები სხვა საწარმოთა წილობრივ ინსტრუმენტებში				
სხვა გრძელვადიანი აქტივები				
სულ აქტივები	21367787	18410429	18077745	
ვალდებულებები				
საიჯარო ვალდებულება				
მ.შ. - ფინანსური იჯარის (ლიზინგის) გრძელვადიანი ნაწილი				
სავაჭრო ვალდებულებები	4518350	4840418	6381630	
ანარიცხები				
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ	1189	1232	841	
საგადასახადო ვალდებულებები				
გამოუმუშავებელი შემოსავალი	278517	30684	265132	
მოკლევადიანი ნასესხები სახსრები				
გრძელვადიანი ნასესხები სახსრები				
მიღებული გრანტები				
მ.შ. - გრანტებიდან წარმოქმნ. გრძელვადიანი ვალდებულებები				
სხვა ვალდებულებები				
სულ ვალდებულებები	4798056	4872334	6647603	
საკუთარი კაპიტალი				
კაპიტალი (სააქციო კაპიტალი, საპაიო კაპიტალი)				
საემისიო შემოსავალი				
გამოსყიდული საკუთარი აქციები				
გაუნაწილებელი მოგება/ დაგროვილი ზარალი	16567858	13536221	11428269	
გადაფასების რეზერვი				
საკუთარი კაპიტალის სხვა კომპონენტები	1873	1874	1873	
სულ საკუთარი კაპიტალი	16569731	13538095	11430142	3.4
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	21367787	18410429	18077745	
სულ მოკლევადიანი აქტივები	21232062	18248434	17893930	
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები	4798056	4872334	6647603	
ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია გამოსაქვეყნებლად 21.09.2023 წ.				
დირექტორი: _____	რ. ნამაზოვი			
თანმხლები განმარტებითი შენიშვნები არის წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილი.				

შპს "ამბიენს"			
საქმიანობის შედეგების ანგარიშგება			
		ერთეული: 1 GEL	
	საანგარიშგებო პერიოდი		
	2022	2021	შენიშვნა
ნეტო ამონაგები	13632661	12692357	3.5
მ.შ. - საქონლის გაყიდვიდან	13261864	12319501	
- მომსახურების გაწევიდან	370797	372856	
- სამშენებლო ხელშეკრულებებიდან			
- სხვა ამონაგები			
გაყიდვების თვითღირებულება	-8586489	-8105886	3.5
საერთო მოგება	5046172	4586471	
სხვა საოპერაციო შემოსავალი			
დასაქმებულთა ანაზღაურება	-569979	-689512	
ცვთა/ამორტიზაციის ხარჯი	-26270	-21820	
საპროცენტო შემოსავალი			
საპროცენტო ხარჯი			
იჯარის ხარჯი	-30664	-37630	
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	-1081442	-802301	3.6
სულ საოპერაციო ხარჯები	-1708355	-1551263	
საოპერაციო მოგება	3337817	3035208	
გაუფასურების ხარჯი/აღდგენა			
მ.შ. - ფინანსური აქტივების			
- მარაგების			
- სხვა არაფინანსური აქტივების			
წმინდა შემოს./დანაკ. უცხ. ვალუტით ვაჭრ. და სავალ. სახ. გადაფ.	-982179	-788522	3.7
მიღებული დივიდენდები			
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი/ხარჯი	675938	71757	
მოგება/ზარალი მოგების გადას. ხარჯამდე განგრძ. ოპერაციებიდან	3031576	2318443	
მოგების გადასახადის ხარჯი		-29527	
საანგარიშგებო პერიოდის მოგება/ზარალი	3031576	2288916	
სხვა სრული შემოსავალი/ზარალი			
ძირითადი საშუალებების (მ.შ. ბიოლ. აქტივების) გადაფასების რეზერვი			
სხვა (მ.შ. წილი ერთ. და მეკავ. საწ. უძრ. ქონების გადაფ. რეზ.)			
სხვა სრული შემოსავალი/ზარალი, სულ:			
მთლიანი სრული შემოსავალი/ზარალი	3031576	2288916	
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში	13538095	11430142	
ახალი აქციების გამოშვება (შპს-ში კაპიტალის გაზრდა/შემცირება)			
განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი)		-165447	
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში	60	-15516	
კაპიტალის სხვა ცვლილებები			
კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	16569731	13538095	3.4
ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია გამოსაქვეყნებლად 21.09.2023 წ.			
დირექტორი: _____		რ. ნამაზოვი	
თანმზღვრები განმარტებითი შენიშვნები არის წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილი.			

შპს "ამბიენს"		
ფულადი ნაკადების ანგარიშგება		
	ერთეული: 1 GEL	
	საანგარიშგებო პერიოდი	
	2022	2021
ნეტო ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	6102787	5386414
საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული ნეტო ფულადი სახსრები		
ნეტო ფულადი სახსრები საფინანსო საქმიანობიდან		-157175
ნეტო ფულადი სახსრების შემოსვლა/გასვლა წლის განმავლობაში	6102787	5229239
სავალუტო კურსის ეფექტი	-1752435	-670558
ფულადი სახსრები პერიოდის დასაწყისში	11698299	7139618
ფულადი სახსრები პერიოდის ბოლოს	16048651	11698299
ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია გამოსაქვეყნებლად 21.09.2023 წ.		
დირექტორი: _____	რ. ნამაზოვი	
თანმხლები განმარტებითი შენიშვნები არის წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილი.		

**2022 წლის ფინანსური ანგარიშგების
განმარტებითი შენიშვნები**

1. ზოგადი ნაწილი

1.1. შპს „ამბიენს“ (შემდგომში – კომპანია) წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას, რომელიც მოქმედებს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანია დარეგისტრებულია 2011 წლის 12 იანვარს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად. მისი საიდენტიფიკაციო კოდია - 401954122, იურიდიული მისამართი - საქართველო, თბილისი, დიდუბის რაიონი, სამტრედიის ქ., კორპ. N51, ბინა N89. კომპანიის ახლანდელი ფაქტობრივი მისამართია: თბილისი, ს. ცინცაძის ქ. N 12.

კომპანია დარეგისტრებულია დღგ-ის გადამხდელად.

1.2. კომპანიის მფლობელები ამჟამად არიან: 75% - რასიმ ნამაზოვი (1CH8ZYZR, C00997869, P5300186 /აზერბაიჯანი/), 25% - შახლა მამედოვა (1W18RS9, C00987559 /აზერბაიჯანი/).

კომპანიის დირექტორია რასიმ ნამაზოვი (პ/ნ 01024017561).

1.3. კომპანიის ძირითადი ეკონომიკური საქმიანობაა პოლონეთიდან მედიკამენტების იმპორტი და შემდგომი რეექსპორტი აზერბაიჯანში. დამატებითი ეკონომიკური საქმიანობაა ფარმაცონსალტინგი და მედიკამენტების რეგისტრაცია.

1.4. კომპანიას 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, არ ჰყავს შვილობილი და მეკავშირე საწარმოები. მას აქვს რეგისტრირებული ფილიალი (წარმომადგენლობა) აზერბაიჯანში, რომელიც ფუნქციონირებს 2019 წლიდან.

1.5. კომპანიას დასაქმებულ თანამშრომელთა საშუალო რიცხვი 2021 წელს შეადგენდა 20 კაცს.

1.6. წესდების მიხედვით, საანგარიშგებო წელი გრძელდება 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით.

2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი და გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკა

2.1. კომპანიის ბუღალტრული აღრიცხვა და ფინანსური ანგარიშგება წარმოებს მსს ფასს-ის (ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტი მცირე და საშუალო საწარმოებისათვის) მიხედვით. ამასთან, კომპანია წარმოადგენს მესამე კატეგორიის საწარმოს „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს 2016 წლის 8 ივნისის კანონის თანახმად. აღნიშნული კანონიდან გამომდინარე, კომპანიას არ ევალება წლიური ფინანსური ანგარიშგების აუდიტი.

2.2. წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია საქმიანობის უწყვეტობის და პირვანდელი (ისტორიული) ღირებულების პრინციპის გათვალისწინებით. აღრიცხვა-ანგარიშგების ფუნდამენტური სააღრიცხვო პრინციპი - დარიცხვის მეთოდი დაცულია. სააღრიცხვო შეფასებები და ძირითადი დაშვებები ყოველწლიურად გადაიხედება. სააღრიცხვო შეფასების ცვლილების აღიარება ხდება იმ პერიოდში, როდესაც ხდება შეფასებების გადახედვა და ასევე შესაბამის მომავალ პერიოდებში.

2.3. გათვალისწინებულია მსს ფასს-ის ძირითადი დაშვება - ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპი, რაც გულისხმობს, რომ კომპანიის მენეჯმენტი არ გეგმავს და არ მოელის, რომ უახლოესი ერთი წლის განმავლობაში კომპანია შეწყვეტს ფუნქციონირებას, ან მოხდება მისი საქმიანობის მასშტაბის არსებითი შეზღუდვა. შესაბამისად, კომპანიის 2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგება მომზადდა ამ დაშვების გათვალისწინებით, რაც გულისხმობს, რომ აქტივების რეალიზაცია/გასვლა და ვალდებულებების დაფარვა ხორციელდება ბიზნესის ჩვეულებრივი მსვლელობისას.

2.4. 2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, გამოყენებულია ამ თარიღის მდგომარეობით მოქმედი მსს ფასს-ის დებულებები.

2.5. კომპანიის მიერ გამოყენებულია შემდეგი სააღრიცხვო პოლიტიკა:

საანგარიშგებო პერიოდი

კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი ემთხვევა კალენდარულ წელს (1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე).

შემოსავლების აღიარება

შემოსავლების აღიარება ხდება საქონლის და მომსახურების გაყიდვიდან ჩვეულებრივი საქმიანობის პროცესში მისაღები ან მიღებული თანხის რეალური ღირებულებით, დარიცხვის მეთოდის შესაბამისად.

საექვო მოთხოვნების აღიარება

კომპანიის საექვო მოთხოვნების სიდიდე განისაზღვრება ინდივიდუალურად თითოეული დებიტორული დავალიანების შესწავლის გზით. თუ დებიტორული დავალიანების წარმოშობიდან გასულია 3 წელი ან მეტი, ეს წარმოადგენს წინაპირობას მისი 100%-იანი გაუფასურებისათვის, თუმცა ყოველ ცალკეულ შემთხვევაში ხდება დამატებითი განსჯა, საჭიროა თუ არა მოთხოვნის გაუფასურების ანარიცხის აღიარება 3 წელზე უფრო ნაკლებ ვადაში.

ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები

ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების ამორტიზებული ღირებულება (გარდა მცირევადიანი ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებებისა) ყოველი საანგარიშგებო პერიოდისთვის წარმოადგენს შემდეგი სიდიდეების ნეტო ღირებულებას:

(ა) თანხა, რომლითაც ფინანსური აქტივი ან ფინანსური ვალდებულება შეფასებულია თავდაპირველი აღიარებისას;

(ბ) გამოკლებული ძირი თანხის დასაფარად გადახდილი თანხები;

(გ) მიმატებული ან გამოკლებული დაგროვილი ამორტიზაციის თანხა, რომელიც მიიღება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით თავდაპირველად აღიარებულ და დასაფარ თანხებს შორის განსხვავების მიმართ; და

(დ) გამოკლებული, ფინანსური აქტივის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალის ან უიმედო ვალის შემცირების თანხა (პირდაპირ, ან რეზერვების ანგარიშების გამოყენებით).

ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები, რომლებსაც არ გააჩნია ნომინალური საპროცენტო განაკვეთი, დაკავშირებული არ არის ისეთ შეთანხმებასთან, რომელიც ფინანსურ ოპერაციას წარმოადგენს და კლასიფიცირდება, როგორც მოკლევადიანი აქტივები ან მოკლევადიანი ვალდებულებები, თავდაპირველად შეფასდება არადისკონტირებული ღირებულებით. აქედან გამომდინარე, მათზე არ ვრცელდება ზემოაღნიშნული (გ) პუნქტის მოთხოვნა.

ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდი არის ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების (ან ფინანსური აქტივების, ან ფინანსური ვალდებულებების ჯგუფის) ამორტიზებული ღირებულების გამოთვლისა და საპროცენტო შემოსავლების ან ხარჯების შესაბამის პერიოდზე მიკუთვნების მეთოდი. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი არის განაკვეთი, რომლის მეშვეობით ფინანსური ინსტრუმენტის მოსალოდნელი ვადის ან, როდესაც შესაფერისია, უფრო მოკლე ვადის განმავლობაში მისაღები ან გადასახდელი სავარაუდო ფულადი სახსრები ზუსტად დისკონტირდება ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების წმინდა საბალანსო ღირებულებამდე. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი უნდა განისაზღვროს ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების საბალანსო ღირებულებაზე დაყრდნობით, რომელიც მას გააჩნია საწყისი აღიარებისას. ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის მიხედვით:

(ა) ფინანსური აქტივის (ვალდებულების) ამორტიზებული ღირებულება არის მომავალში მისაღები (გადასახდელი) ფულადი სახსრების დღევანდელი ღირებულება, რომელიც დისკონტირებულია ეფექტური საპროცენტო განაკვეთით; და

(ბ) პერიოდის საპროცენტო ხარჯი (შემოსავალი) ტოლია მოცემული პერიოდის ეფექტური საპროცენტო განაკვეთისა და ფინანსური ვალდებულების (აქტივის) საბალანსო ღირებულების ნამრავლის, რომელიც მას ჰქონდა პერიოდის დასაწყისში.

გარიგებები უცხოურ ვალუტაში

გარიგებები უცხოურ ვალუტაში კონვერტირდება კომპანიის შესაბამის სამუშაო ვალუტაში ტრანზაქციების განხორციელების დღეს საქართველოს ეროვნული ზანკის (სებ) მიერ დადგენილი ოფიციალური სავალუტო გაცვლითი კურსის მიხედვით. ანგარიშგების თარიღისთვის, უცხოურ ვალუტაში წარმოდგენილი ფულადი აქტივები და ვალდებულებები გადაიცვლება ფუნქციონალურ ვალუტაში, ამავე თარიღისთვის არსებული გაცვლითი კურსის მიხედვით. უცხოურ ვალუტაში წარმოდგენილი არაფულადი აქტივები და ვალდებულებები, რომლებიც დაიანგარიშდება სამართლიანი ღირებულებით, კონვერტირდება სამუშაო ვალუტაში სამართლიანი ღირებულების განსაზღვრის დღისთვის არსებული ვალუტის გაცვლის კურსის მიხედვით. არაფულადი ერთეულები უცხოურ ვალუტაში, რომელიც გამოთვლილია ისტორიული ღირებულების საფუძველზე, გადაყვანილია ტრანზაქციის თარიღისთვის მოქმედი გაცვლითი კურსით. ვალუტის გადაფასებით გამოწვეული სავალუტო საკურსო სხვაობები აისახება პერიოდის მოგებაში ან ზარალში.

დასაქმებულ პირთა გასამრჯელოები

თანამშრომელ პირთა გასამრჯელოები აღიარდება შესრულებული სამუშაოს საფუძველზე არადისკონტირებული ღირებულებით და შესაბამისად აისახება ხარჯებში. ასანაზღაურებელი თანხა აღიარდება მოკლევადიანი ვალდებულების სახით.

მარაგები

მარაგები აღირიცხება უწყვეტი მეთოდით. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, ისინი შეფასებულია თვითღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. წმინდა სარეალიზაციო ღირებულება არის ბიზნესის ჩვეულებრივ პირობებში საქმიანობისას არსებული აქტივის გასაყიდი ფასი, შემცირებული იმ მოსალოდნელი დანახარჯების ოდენობით, რომლებიც დაკავშირებულია აქტივის გაყიდვასთან. მარაგების ჩამოწერა ხდება სპეციფიკური იდენტიფიკაციის მეთოდის საშუალებით, თუ ეს შესაძლებელი და მიზანშეწონილია, ხოლო სხვა შემთხვევებში - საშუალო ფასთა მეთოდის გამოყენებით.

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

ფულად სახსრებს და მათ ეკვივალენტებს კომპანიისთვის წარმოადგენს ფული სალაროში და ფული მიმდინარე საბანკო ანგარიშებზე (შენიშვნა: ამჟამად, ოპერაციები ნაღდი ანგარიშსწორებით, ფაქტობრივად აღარ წარმოებს).

გრძელვადიანი აქტივები

ა) ძირითადი საშუალებების, საინვესტიციო ქონების და არამატერიალური აქტივების აღრიცხვისათვის გამოიყენება თვითღირებულების მოდელი.

ბ) ძირითადი საშუალებებისა და საინვესტიციო ქონების ცვეთისათვის გამოიყენება წრფივი მეთოდი. ამასთან, ცვეთის დარიცხვა იწყება იმ თვიდან, როდესაც ძირითადი საშუალების/საინვესტიციო ქონების გამოყენება დაიწყო, ხოლო იმ თვეში, როდესაც მოხდა ძირითადი საშუალების/საინვესტიციო ქონების გასვლა, ცვეთის დარიცხვა არ ხდება.

გ) ძირითადი საშუალებებისა და საინვესტიციო ქონების ცვეთა ხდება საბალანსო და სალიკვიდაციო ნარჩენ ღირებულებებს შორის სხვაობიდან სასარგებლო სამსახურის ვადის გათვალისწინებით. თუ კონკრეტული ძირითადი საშუალებისთვის ან საინვესტიციო ქონებისთვის ნარჩენი სალიკვიდაციო ღირებულება განსაზღვრული არ არის, ის ჩაითვლება ნულის ტოლად, ხოლო თუ სასარგებლო სამსახურის ვადა არ არის დადგენილი, ცვეთის დარიცხვა ხდება შემდეგი წლიური საპროცენტო განაკვეთების მიხედვით:

კომპიუტერული ტექნიკა - 4-5 წელი;

ავეჯი და ოფისის აღჭურვილობა - 5 წელი;

ავტოსატრანსპორტო საშუალებები - 5 წელი;

სხვა ძირითადი საშუალებები - 2-5 წელი.

ე) არამატერიალური აქტივების ამორტიზაციისათვის გამოიყენება:

- იმ არამატერიალური აქტივებისათვის, რომელთაც აქვთ შეზღუდული სასარგებლო მომსახურების ვადა და ეს ვადა განსაზღვრულია, გამოიყენება ამორტიზაციის დარიცხვის წრფივი მეთოდი მათი სასარგებლო სამსახურის ვადის შესაბამისად;

- იმ არამატერიალური აქტივებისათვის, რომელთაც აქვთ შეზღუდული სასარგებლო მომსახურების ვადა, მაგრამ ეს ვადა ცალსახად განსაზღვრული არ არის, გამოიყენება ამორტიზაციის დარიცხვის წრფივი მეთოდი წლიური საპროცენტო განაკვეთით - 15%;

- არამატერიალური აქტივები განუსაზღვრელი სასარგებლო მომსახურების ვადით არ ამორტიზდება.

მენეჯმენტის მოსაზრებით, ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას არ არსებობს კრიტიკული გადაწყვეტილებები, რომელსაც შეუძლია გავლენა იქონიოს ფინანსური ანგარიშგების მუხლებში აღიარებულ თანხებზე და არ არსებობს ვარაუდები და შესაძლო გაურკვევლობები, რომელიც შეიძლება შეიცავდეს არსებითი კორექტირების მნიშვნელოვან რისკებს მომავალი ფინანსური წლის შედეგებზე.

2.6. გადასახადები

2016 წელს საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი მოგების გადასახადის რეფორმის შესახებ (რომელიც ასევე ცნობილია მოგების გადასახადის „ესტონური მოდელის“ სახელით), რაც ნიშნავს დაბეგვრის მომენტის გადატანას მოგების გამომუშავების თარიღიდან მისი გაცემის თარიღამდე. კანონი ძალაშია საგადასახადო პერიოდებისთვის 2017 წლის 1 იანვრის შემდეგ ყველა იურიდიული პირისთვის, გარდა ფინანსური დაწესებულებებისა (ბანკები, სადაზღვევო კომპანიები, მიკროსაფინანსო ორგანიზაციები, საკრედიტო კავშირები და დადგენილი წესით რეგისტრირებული სესხის გამცემი სუბიექტები), რომელთათვის ეს დებულება ძალაშია 2023 წლის 1 იანვრიდან (სადაზღვევო კომპანიებისათვის – 2024 წლის 1 იანვრიდან).

ახალი საგადასახადო სისტემიდან გამომდინარე, საქართველოში რეგისტრირებულ კომპანიებს, როგორც წესი, არ წარმოეშვებათ დროებითი სხვაობები კომპანიის საგადასახადო ვალდებულებებსა და მათ საბალანსო ღირებულებებს შორის. შესაბამისად, 2017 წლიდან მათ არ აქვთ გადავადებული საგადასახადო აქტივები და გადავადებული მოგების გადასახადის ვალდებულებები (გარდა იშვიათი გამონაკლისი შემთხვევებისა).

2017-2022 წლებში საქართველოში მოგების გადასახადის განაკვეთი 15%-ს შეადგენდა.

2.7. წარდგენის ვალუტა და ერთეულის სიზუსტე

საქართველოს ეროვნულ ვალუტას წარმოადგენს ქართული ლარი, რომელიც არის კომპანიის სამუშაო ვალუტა და აგრეთვე ვალუტა, რომელშიც არის წარმოდგენილი კომპანიის ფინანსური ანგარიშგება. ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია 1 (ერთი) ლარის სიზუსტით.

2.8. გაცვლითი სავალუტო კურსები

სავალუტო ფულადი მუხლებისათვის გამოყენებულია შემდეგი ოფიციალური გაცვლითი კურსები, დადგენილი საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ:

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

1 USD=2.7020 ლარი; 1 EUR=2.8844 ლარი.

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

1 USD=3.0976 ლარი; 1 EUR=3.5040 ლარი.

საშუალო სავალუტო გაცვლითი კურსი შეადგენდა:

2022 წელს: 1 USD=2.9137 ლარი; 1 EUR=3.0812 ლარი.

2021 წელს: 1 USD=3.2170 ლარი; 1 EUR=3.8152 ლარი.

3. ფინანსური ანგარიშგების მუხლების განმარტებითი შენიშვნები

3.1. ფული და ფულის ეკვივალენტები:

	ნაშთი 31.12.2022 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2021 მდგომარეობით
ლარი საბანკო ანგარიშებზე (საქართველო)	834	4756
აშშ დოლარები საბანკო ანგარიშებზე (საქართველო)	15148184	10757214
ევრო საბანკო ანგარიშებზე (საქართველო)	899627	936167
ფული საბანკო ანგარიშებზე (აზერბაიჯანი)	6	163
სულ:	16048651	11698299

3.2. მარაგები:

	ნაშთი 31.12.2022 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2021 მდგომარეობით	ნაშთი 01.01.2020 მდგომარეობით
რექსპორტისთვის განკუთვნილი ფარმაცევტული საქონელი	2788477	5402028	
საწვავ-საცხები მასალები	46	46	
სულ:	2788523	5402074	0

3.3. ძირითადი საშუალებები:

კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკით, ძირითადი საშუალებების მიმართ გამოიყენება თვითღირებულების მოდელი.

ძირითადი საშუალების დასახელება	თავდაპირველი საბალანსო ღირებულება 31.12.2021	დაგროვილი ცვეთა 31.12.2021	ნარჩენი საბალანსო ღირ-ბა 31.12.2021	თავდაპირველი საბალანსო ღირებულება 31.12.2022	დაგროვილი ცვეთა 31.12.2022	ნარჩენი საბალანსო ღირ-ბა 31.12.2022
ძირითადი საშუალებები აზერბაიჯანში	204345.13	46625.98	157719.15	204345.13	71076.91	133268.22
კავშირგაბმულობის საშუალებები	6424.58	3489.11	2935.47	6424.58	4774.03	1650.55
კომპიუტ. ტექნიკა და სხვა მოწყობილობები	8729.62	7577.08	1152.54	8729.62	7983.86	745.76
მცირეფასიანი ძირითადი საშუალებები (გარდა ავეჯისა)	12785.58	12785.58	0.00	12785.58	12785.58	0.00
მცირეფასიანი ავეჯი	1050.86	1050.86	0.00	1050.86	1050.86	0.00
სრულად	233335.77	71528.61	161807.16	233335.77	97671.24	135664.53

3.4. საკუთარი კაპიტალი:

კომპანიის წესდებით განსაზღვრული კაპიტალი 0 ლარია, რაც დასაშვებია „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მიხედვით. შესაბამისად, კომპანიის საკუთარი კაპიტალი 2018 წლის ბოლოს მთლიანად შედგება დაგროვილი გაუნაწილებელი მოგებისაგან. რაც შეეხება საკუთარი კაპიტალის სიდიდეს 2021 და 2022 წლების ბოლოსთვის, მასში, გარდა დაგროვილი გაუნაწილებელი მოგებისა, ჩართულია აზერბაიჯანის ფილიალთან მომხდარი ოპერაციებიდან წარმოშობილი სავალუტო საკურსო სხვაობა, რომელიც არ მიეკუთვნება მოგება-ზარალს, არამედ აღიარდება როგორც სხვა სრული შემოსავალი.

3.5. ნეტო ამონაგები და რეალიზებული საქონლის თვითღირებულება

	2022 წელი	2021 წელი
საქონლის რექსპორტი	13261864	12319501
ფარმაცონსალტინგი	116497	151584
წამლების რეგისტრაცია	254300	221272
სულ:	13632661	12692357

რეალიზებული საქონლის თვითღირებულება (2022 წ. – 8586489 ლარი, 2021 წ. – 8105886 ლარი) მთლიანად შედგება გაყიდული საქონლის (მედიკამენტების)

თვითღირებულებისაგან, რომელიც იმპორტირდება პოლონეთიდან და ექსპორტირდება აზერბაიჯანში.

3.6. ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯები:

	2022 წელი	2021 წელი
მიწოდების ხარჯები	23461	30602
საკონსულტაციო და აუდიტის ხარჯები	8034	8034
დაზღვევა		
ქონების გადასახადის და სხვა საგადასახადო ხარჯები	33	50
მივლინების ხარჯები	113785	64795
ელ.ენერგია, გაზი, წყალი	84	1734
„ავერსის“ მომსახურება	281241	248375
საკომუნიკაციო ხარჯები	1614	1650
საბანკო ხარჯები	15905	10815
აზერბაიჯანის ფილიალის ხარჯები	569809	422686
სხვა ადმინისტრაციული და საოპერაციო ხარჯები	67476	13561
სულ:	1081442	802301

3.7. წმინდა შემოსულობა/ დანაკარგი სავალუტო ოპერაციებიდან:

	2022 წელი	2021 წელი
დადებითი საკურსო სხვაობები	1047317	89126
უარყოფითი საკურსო სხვაობები	-2029496	-877648
სულ:	-982179	-788522

3.8. საანგარიშგებო პერიოდის მოგება (ზარალი):

2016 წლის 13 მაისს საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი მოგების გადასახადით დაბეგვრის რეფორმის შესახებ (დაბეგვრის ახალი წესი ცნობილია მოგების გადასახადის „ესტონური მოდელის“ სახელით), რაც ნიშნავს დაბეგვრის მომენტის გადატანას მოგების გამომუშავების თარიღიდან მისი ფაქტობრივად გაცემის თარიღამდე. 2017 წლის 1 იანვრის შემდეგ ეს კანონი ძალაში შევიდა ყველა კომერციული იურიდიული პირისთვის, გარდა ფინანსური ინსტიტუტებისა (როგორც არის ბანკები, საკრედიტო კავშირები, სადაზღვევო კომპანიები, მიკროსაფინანსო ორგანიზაციები, რეგისტრირებული სესხის გამცემი სუბიექტები).

კომპანიაში 2021 წელს გაცემული იქნა დივიდენდი 165447 ლარის ოდენობით, რომლის შესაბამისმა მოგების გადასახადმა შეადგინა: $(165447/0.85)*15\%=29197$ ლარი. 2022 წელს კი დივიდენდები არ გაცემულა. დივიდენდების გაცემა განხორციელდა 2023 წლის იანვარში, თანხით 301420.53 ლარი.

3.9. სასამართლო დავები:

კომპანიას 2022 წლის განმავლობაში სასამართლო დავები არ ჰქონია.

3.10. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

2023 წლის 1 იანვრიდან 21 სექტემბრამდე პერიოდში, კომპანიის ეკონომიკურ საქმიანობაში სხვა საყურადღებო მოვლენები არ მომხდარა.

3.11. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება ხელმოწერილი და გამოსაცემად ნებადართულია 2023 წლის 21 სექტემბერს კომპანიის მენეჯმენტის მიერ. კომპანიის ხელმძღვანელობას უფლება აქვს შეცვალოს ფინანსური ანგარიშგება გამოშვების შემდეგ.

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

ერთეული: 1 GEL

	საანგარიშგებო თარიღი			შენიშვნა
	31.12.2022	31.12.2021	31.12.2020	
აქტივები				
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	16048651	11698299	7139618	3.1
საგაჭრო და სხვა მოთხოვნები	2344925	1040713	4120623	
სხვა პირებზე ავანსებად და სესხებად გაცემული ფულადი სახსრები	39283	94390	80	
მ.შ. - გრძელვადიანი სესხები				
მარაგები	2788523	5402074	6608973	3.2
მ.შ. - მზა პროდუქცია				
- სხვა	2788523	5402074	6608973	
საინვესტიციო ქონება				
სხვა მოკლევადიანი აქტივები	10680	12958	24636	
ბიოლოგიური აქტივები				
მ.შ. - თვითღირებულების მოდელით				
- გადაფასების მოდელით				
გუდვილი				
სხვა არამატერიალური აქტივები	61	188	755	3.3
ძირითადი საშუალებები	135664	161807	183060	
ინვესტიციები შვილობილ კომპანიებში				
ინვესტიციები სხვა საწარმოთა წილობრივ ინსტრუმენტებში				
სხვა გრძელვადიანი აქტივები				
სულ აქტივები	21367787	18410429	18077745	
ვალდებულებები				
საიჯარო ვალდებულება				
მ.შ. - ფინანსური იჯარის (ლიზინგის) გრძელვადიანი ნაწილი				
საგაჭრო ვალდებულებები	4518350	4840418	6381630	
ანარიცხები				
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ	1189	1232	841	
საგადასახადო ვალდებულებები				
გამოუმუშავებელი შემოსავალი	278517	30684	265132	
მოკლევადიანი ნასესხები სახსრები				
გრძელვადიანი ნასესხები სახსრები				
მიღებული გრანტები				
მ.შ. - გრანტებიდან წარმოქმნ. გრძელვადიანი ვალდებულებები				
სხვა ვალდებულებები				
სულ ვალდებულებები	4798056	4872334	6647603	
საკუთარი კაპიტალი				
კაპიტალი (სააქციო კაპიტალი, საპაიო კაპიტალი)				
საემისიო შემოსავალი				
გამოსყიდული საკუთარი აქციები				
გაუნაწილებელი მოგება/ დაგროვილი ზარალი	16567858	13536221	11428269	3.4
გადაფასების რეზერვი				
საკუთარი კაპიტალის სხვა კომპონენტები	1873	1874	1873	
სულ საკუთარი კაპიტალი	16569731	13538095	11430142	
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	21367787	18410429	18077745	
სულ მოკლევადიანი აქტივები	21232062	18248434	17893930	
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები	4798056	4872334	6647603	

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია გამოსაქვეყნებლად 21.09.2023 წ.

დირექტორი:

Razim Khamazov

რ. ნამაზოვი



თანმხლები განმარტებითი შენიშვნები არის წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილი.

საქმიანობის შედეგების ანგარიშგება

ერთეული: 1 GEL

	საანგარიშგებო პერიოდი		შენიშვნა
	2022	2021	
ნეტო ამონაგები	13632661	12692357	3.5
მ.შ. - საქონლის გაყიდვიდან	13261864	12319501	
- მომსახურების გაწევიდან	370797	372856	
- სამშენებლო ხელშეკრულებებიდან			
- სხვა ამონაგები			
გაყიდვების თვითღირებულება	-8586489	-8105886	3.5
საერთო მოგება	5046172	4586471	
სხვა საოპერაციო შემოსავალი			
დასაქმებულთა ანაზღაურება	-569979	-689512	
ცვეთა/ამორტიზაციის ხარჯი	-26270	-21820	
საპროცენტო შემოსავალი			
საპროცენტო ხარჯი			
იჯარის ხარჯი	-30664	-37630	
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	-1081442	-802301	3.6
სულ საოპერაციო ხარჯები	-1708355	-1551263	
საოპერაციო მოგება	3337817	3035208	
გაუფასურების ხარჯი/აღდგენა			
მ.შ. - ფინანსური აქტივების			
- მარაგების			
- სხვა არაფინანსური აქტივების			
წმინდა შემოს./დანაკ. უცხ. ვალუტით ვაჭრ. და სავალ. სახ. გადაფ.	-982179	-788522	3.7
მიღებული დივიდენდები			
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი/ხარჯი	675938	71757	
მოგება/ზარალი მოგების გადას. ხარჯამდე განგრძ. ოპერაციებიდან	3031576	2318443	
მოგების გადასახადის ხარჯი		-29527	
საანგარიშგებო პერიოდის მოგება/ზარალი	3031576	2288916	
სხვა სრული შემოსავალი/ზარალი			
ძირითადი საშუალებების (მ.შ. ბიოლ. აქტივების) გადაფასების რეზერვი			
სხვა (მ.შ. წილი ერთ. და მეკავ. საწ. უძრ. ქონების გადაფ. რეზ.)			
სხვა სრული შემოსავალი/ზარალი, სულ:			
მთლიანი სრული შემოსავალი/ზარალი	3031576	2288916	
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში	13538095	11430142	
ახალი აქციების გამოშვება (შპს-ში კაპიტალის გაზრდა/შემცირება)			
განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი)		-165447	
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში	60	-15516	
კაპიტალის სხვა ცვლილებები			
კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	16569731	13538095	3.4

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია გამოსაქვეყნებლად 21.09.2023 წ.

დირექტორი:

Razim Kanazov

რ. ნამაზოვი



თანმხლები განმარტებითი შენიშვნები არის წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილი.

შპს "ამბიენს"

ფულადი ნაკადების ანგარიშგება

ერთეული: 1 GEL

	საანგარიშგებო პერიოდი	
	2022	2021
ნეტო ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	6102787	5386414
საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული ნეტო ფულადი სახსრები		
ნეტო ფულადი სახსრები საფინანსო საქმიანობიდან		-157175
ნეტო ფულადი სახსრების შემოსვლა/გასვლა წლის განმავლობაში	6102787	5229239
სავალუტო კურსის ეფექტი	-1752435	-670558
ფულადი სახსრები პერიოდის დასაწყისში	11698299	7139618
ფულადი სახსრები პერიოდის ბოლოს	16048651	11698299

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია გამოსაქვეყნებლად 21.09.2023 წ.

დირექტორი:

Rasim Kamsarova

რ. ნამაროვი



თანმხლები განმარტებითი შენიშვნები არის წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილად.